# ЧЕТЫРЕ ДНЯ НА КАСПИИ
## Метаморфозы о маме и море
## სვეტლანა სავიცკაია
## ოთხი დღე კასპიაზე.
## მეტამორფოზები დედასა და ზღვაზე
## (პოემა)
## (поэма)

**Светлана Савицкая**
**SVETLANA SAVICKAYA**

**Издательство «Глоса»**
**Москва-Тбилиси**
**2018**

УДК 82
ББК 83,3
С13

Савицкая С.
С13 Четыре дня на Каспии / С.Савицкая. – Тбилиси. Русский мир, 2018.
- 110 с.

Многообразность философии Светланы Савицкой подкупает новизной и откровением живущего истиной любовью сердца. Пуповина этой любви - любовь к матери, а через нее - к матерям всей планеты, галактики, Вселенной.

Светлане удалось увидеть мир через волны, как через призму времен, вернувшись на Каспийское море через 50 лет разлуки. Осознать маму в настоящем, прошлом и будущем, как и себя четырехлетнюю. Понять, что нет ничего выше Великого планетарного символа Матери, особо почитаемого и значимого для всех народов Земли. Выразить чувства изысканным слогом. Широтой мысли. Глубиной восприятия.

В предлагаемом издании поэма публикуется впервые на двух языках - русском и грузинском в переводе известного поэта Эмзара Квитаишвили, в активе которого виртуозные переводы А. Пушкина, А. Блока, Б. Пастернака, В. Маяковского.

**Лев Аннинский**, литературный критик, литературовед.

УДК 82
ББК 83,3

ISBN 978–9941–8-0500–4

© Савицкая Светлана Васильевна
© перевод Эмзар Квитаишвили


ЧЕТЫРЕ ДНЯ НА КАСПИИ
МЕТАМОРФОЗЫ О МАМЕ
И МОРЕ
поэма



**СВЕТЛАНА ВАСИЛЬЕВНА САВИЦКАЯ**



# ДЕНЬ ПЕРВЫЙ

***

То не воздух, а чай
Из некошеных трав,
То настой фитонцидного
Душного зноя
Я приму.
И коснется плеча
Алыча.
И гранат
Перезревший
Меня успокоит.

***

Я бежала сюда,
Я плыла,
Я ползла
С перебитыми крыльями,
Раненой птицей,
Чтобы вновь омовенье
Свершила душа.
Чтоб как Феникс
Из пепла
Могла
Возродиться.

***

Я ищу свое детство,
Мой Каспий,
Пойми.
И следы на песке
Моей ласковой мамы,
Той, что шила мне платья
Сама
Из тесьмы,
Что роскошно плела кружева
Для панамы.

***

Я не верю той притче, в которой мудрец
Из корыстных идей, усомнившись о чуде,
Пересек полземли, чтоб мудрейший отец
Был испытан на мудрость средь пристальных судей.
Притча та слово - в слово прошла сквозь века:
Изловив мотылька,
Вопрошал дервиш дерзкий:
- Что? Живое иль мертвое в этих руках?
- Всё в руках твоих, - тихо ответил мудрейший…
Разве мудрость – не верить в величье ума?
Я б другое спросила у гения мысли:

- Почему люди любят?
- Зачем им война?
- Что главнее любви?
- Есть ли смысл
            у жизни?...

Те вопросы я,
Море,
Тебе принесла,
Не успела задать их в безоблачном детстве,
Когда вечность в спиралях ракушек цвела,
В бархат ночи вдохнув колыбельные песни.

***

Если люди не верят друг другу –
Беда.
Если люди не верят друг в друга –
Проблема!
Если Богу не верят они – ерунда:
Бог в них верит,
Даря им
Пространство
И время!
Как из толщи земли
Прорывается мысль,
В виде цветика малого

С пламенной жаждой,
Из космических вод зарождается жизнь,
Материнское лоно покинув однажды.



***

Я из теплого моря взойду на песок,
Холодящую землю собой согревая.
Так рождается вновь
Человек, точно Бог,
Прошлых жизней греховных
Не помня.
Не зная.

***

Я училась ходить по седому песку
Полусладкого – полусоленого моря,
Говорить я училась. И гнать грусть-тоску,
Я училась с ветрами на Каспии спорить.
- Мама! Мама! Смотри! - я кричала опять,
- Я умею ходить!
- Я бежать научилась!
- Я умею нырять!
- Я умею писать!
- Я умею сложнейшие складывать числа!
И любила я сказки в стихах про людей,
Про чертей
И богов,
Про любовь и терпенье.
И любила я маму.

И верила ей.



И молилась святому ее вдохновенью.
Сны мои на ладонях качала волна,
Объясняя бездарность бессмысленных смыслов.
И любила я море до самого дна,
Так меня не любили, наверное, в жизни…

Я в четыре запела.
А в пять поняла,
Что могу рисовать удивительных рыбок.
Научилась я слушать.
И слышать слова.
Научилась прощать.
И не делать ошибок.

Я гнала свое детство.
И юность гнала.
Седины я ждала,
Как небесного чуда!
Косяками на юг улетали года.
Мне по снегу ходить стало больно и трудно.

И полжизни прошло.
Или целая жизнь?
Пятьдесят – это все?
Иль еще половина?

И сказал тихо Каспий однажды:
– Проснись!
И позвал он меня притяжением сильным.

И опять я иду по седому песку
Полусладкого – полусоленого моря,
Не по снегу иду,
Отгоняя тоску,
Я иду по песку,
С притяжением споря.
- Мама! Мама! Смотри,
- Постоянно шепчу,
Чтоб никто не услышал!
Не счел сумасшедшей!
- Я …
…Молчать научилась!
- Смотри!
- Я молчу!
- Я пытаюсь, как ты, стать достойной из женщин.
Я красивые притчи пишу для людей,
Для чертей и богов,
Для любви и терпенья.
Я люблю тебя, мама!
Я верю тебе!
И молюсь на святое твое вдохновенье!

Сны у Каспия снова качает волна,
Растворив отраженье в лазоревой выси.
И люблю я мужчину до самого дна,
Так меня не любили,
Наверное,
В жизни…

***

Перегрузки.
Гудки.
Но звонок не прошел,
Я на Каспии детство свое вспоминаю.
Позвони!
Я отвечу, что все хорошо.
Не волнуйся.
Я здесь.
Я на море, родная!
Все в порядке со мною.
Хоть ты далеко.
Ты давно далеко.
Я уж белою стала.
Я тут вспомнила, мама, как было легко,
Если я на руках у тебя засыпала…
Не смотря ни на что, жар души не прошел,
От него еще многим придется согреться!

Позвонишь – я отвечу, что все хорошо.
Мама,
Я научилась беречь твое сердце!

# ДЕНЬ ВТОРОЙ



***

Рассвет переполнит волшебным сияньем
Долготерпивую жизнь.
Ты рано проснешься, и вспомнишь о маме.
И солнце встречать побежишь!

Вчера на закате казалось все серым.
И ветра утихли шаги.
Казалось, что солнца зеленое сердце
Порвется вот-вот от тоски!

А утром – смотри! Словно песней из детства
Усилив пространственный знак,
Сегодня у солнца зеленое сердце
Заря поднимает как флаг!
Опять не везет нам, наверное, в смерти,
Хоть смейся! Зови-не зови!
Сегодня у солнца зеленое сердце,
Зеленое сердце любви!

***

Принцессой маленькой
Четырехлетней
Я обернусь
Легко!

Выбегу дерзко и непослушно
На берег,
Точно в большую песочницу,
Босиком!
И в ладошке
Я удержу сто ветров
Каспийских!
Сто надежд!
А воздушного змея
Изрядно
Затискав,
Выпущу в горный
Лес!
Вихри
Солнечные
Веселые
Крепко держа в руках,
Точно завойки,
Концами плетки
Выкручу на висках.
А потом, как когда-то
Я рассмеюсь,
Разревусь,
Разрыдаюсь,
Взорвусь!

Буду я всем сумасшедшей казаться.
Пусть!
***
Ты не гневайся, Каспий милый.
Можно, поглажу тебя?
И не дрожи.
Я пришла к тебе с миром,
Ласковый мой,
Озорной
И мурчащий,
Мой шаловливый
Большой,
Настоящий,
Белый,
Как Солнце, огненный барс!
Белый, как Небо!
Как свет
За Душой!
И широкий,
Огромный,
В сотни обхватов
Марс!
Запах первой неистовой воли
Морской
Я помню.

И запах лепешек с кунжутом,
И мед добрых пчел,
Что садились на нос.



Пролетели года.
Но все это осталось
Со мной навсегда.
В черной ночи - звезды белых улиток.
Свет фонарей, по дороге разлитый.
Маму, идущую рядом со мной.
Длинные тени,
Наверно, длиннее,
Нет ничего,
Раз они из кармашков
Светлого детства
Солнце достали.
И сладкую песню.
Здесь, на песке,
Мамино слово
Я чувствую рядом.
Мамину руку - в руке.
Мама ведет меня вновь по дороге.
Мне хорошо и легко.
Мама, я помню тот вкус кукурузы.
Помню улиток.
Арбузы. Медуз.
Белый песок.  И уверенность,
Что всё,
Пока за руку ты меня держишь,

Будет со мной хорошо!
***
Как возьму!
Как зачерпну
Ковшом
Пол-вселенной!
Рыбки
Галактиками
Так и
Заплещутся в нем!
В Каспий брызгами
Выплесну!
Волю-вольную
Подарю диким звездам
За Южным Крестом!
Ветряно!
Станет душей моей
Ветряно!
И бездомно…
Бережно…
В штиль уйдет душа моя.
В штиль!
Брошу якорь туда,
Где мерцает
Большая

Медведица
Томно.
Боль моя
В быль уйдет,
Что космический
Солнечный ветер -
В пыль!

***

Острые перья чаек,
Как стрелы,
Пронзают песка
Млечность
Белою песней свободы…
Ты слышишь ее?
Нет?
Что ты?!!!
Шторы
Не затворяй
В кабинете своем,
Как шоры!
Чайки
Тайну откроют тебе
Слова!
Не начертал его еще на песке?

Нет?
Черти!
То слово:
ВЕЧНОСТЬ…
Его волнами смоет.
Но…
Не беда.
Напиши его снова…
И так бесконечно.
Пусть наша жизнь быстротечна, -
Люби!
Смысл жизни
Не сможет смыть
Море.
Даже, если чайки все до одной улетят,
Царапая криками воздух
Хором,
В свой райский
Чаечный храм,
Вскоре,
Каясь или молясь,
В одиночестве сна,
Как в соборе,
Ты…
Поймешь это сам!

***

Я не свободна…
Но там…
Где меня нет,
Снова я есть!
Чайки
Мне накричали
Добрую весть!
Стала
Я понимать,
Что значит
Свобода
И честь.

***

Море волнуется раз -
Пустяки!
Стерпишь!
Море волнуется два -
Дураки
Нервы
Треплют опять,
Как ветра
Паруса

В бурю…
Кровь
Нагоняет
Градус
Темпера-
        туры!
Море волнуется три -
Что глядишь
Дерзко?
Тихо.
Замри.
Я - как ты!
Я – твоя
Песня!
Море уснуло у ног,
Нализавшись твоих
Пяток.
Толи сбылась с тобой быль…
Толи сон
Сладкий…

# ДЕНЬ ТРЕТИЙ



***
Где свивает вселенскую материнскую нить
Светлоли-и-и-икая
И
Вели-и-и-икая
М-а-а-а,
Отражаясь в Каспии, довелось нам плыть
Вместе!
Помнишь,
Моя,
Мама-М-а-а-а???!!!

Это было недавно, казалось еще вчера,
Вызревала я
Между гор, там, где спят ветра.
Ты твердила всегда,
Что на счастие родила
Для Отца-а-а-а.
Царь-девицу-
Волшебницу.
Мама моя-
Богородиц-а-а-а-а!

По ущельям сил для тебя собирал туман.
С четырех сокровенных стран,

С четырех дорог.
Перезревшим арбузом
Вселе-е-е-енским
Я зрела в тебе,
Мама, джан!
Разорвал нас
Однажды
Мой первый вздох.

Млечный путь пупови-и-и-иной
По со-о-о-о-тням струн
На рубашке кодировал
Родово-о-о-о-й
Со-о-о-отни рун.
Молоко-о-о-ом своим
Мама-ханум,
Окрестила на подвиги,
И на бой.

Материнский све-е-е-е-ет -
Ярче белого дня!
Ши-и-и-и-ре неба!
И глубже, чем океа-а-а-а-н!
В-ы-ы-ы-ыше маковок белых церквей – Мама моя!
Санта-Мама моя!

Моя Мама-Са-а-а-ан!



Омовее-е-е-е-ением
Околопло-о-о-о-дных
Во-о-о-о-лн
Пульса новый виток запускает вновь
Моя Мама-Мечта, что всегда
Со мно-о-о-о-о-й.
Моя Мама-Вера!
Мама-Любо-о-о-о-о-вь!

В колыбельных детства воскрес
Заве-е-е-е-ет.
Моя Мама-Лее-е-е-ето хранит ее,
Мама-Зима-а-а-а-а.
Моя Мама-Надежда,
И Мама-Свее-е-е-е-т…
Матерь-Макошь
Моя-а-я-я.
Священная
Мама-М-а-а-а-а!

***

Какие,
Послушай,
Песни ракушки поют о штормах!

Взмах!
Еще один взмах!
И я улечуууу!
На ветра-а-а-х!
Так
Я над волнами
Лет пятьдесят,
Как во снах,
Не летала!

***

Здравствуй,
Озеро-море мое!
Здравствуй!
Великое море!
Каждое утро колодец твой белый
Новое белое солнце рождает.
Гляжу на него,
Как через линзу времен,
Ведь не Каспий же, право,
Гордо стоит предо мной на коленях.
Это же я перед ним, синеоким,
Падаю ниц
Увядающим солнцем.
Съешь меня, море!

Мне жалко до боли
Брызг!
В кружево сверженных
Брызг!
Сбрось меня, море, с руки, как перчатку!
Скалам дуэль объявив,
Выстрели в сердце Земли!
Победи!
И умри
От тоски
Без нее!
Белым-белым
Туманом воскресни!
Песни,
Чудесней которых нет в мире,
Пропой!
Шумом!
Пальбой!
И удар за ударом
Волн
Ослепительно-небывалых!
Снова в песок
Упади предо мной,
Снова одень
Меня в платье

Из ветра,
Самого белого
Нежного
Фетра,
Самой высокой прозрачности волн,
Самых упругих течений глубинных!
Эту рубашку крестильную буду,
Бликами вышитую тобой,
Верно носить за собою повсюду.
Платья прекраснее нет для поэта!
Соткано это
Из радуг
И света.
Милый доверчивый, Каспий мой.
И для тебя я скупиться не стану.
Самых изысканных слов жемчуга
Бус я из щедрого сердца достану.
Песней прославлю тебя на века!
Ну, а в рубашке пред Богом предстану.
Тихо скажу: «Мне ее подарил,
Кто меня с детства берег,
И любил!
Мама моя меня морем крестила.
Крестный ты мне.
Твоя крестная сила,

Точно знаменье
Навеки со мной».

***

Ты – математик.
А я – поэтесса.
Я оборону держу.
А ты свое войско
Все время свиньей выставляешь
Напротив.
Вбиваешься клином
Отсутствия всяческого интереса.
В то, чем я дорожу.
А я Unionoida.
Раковина-жемчужница,
Да не простая,
Тысячестворная!
Кто-то мечет икру,
А я – бисер,
Все по большей части
Жемчуг
Отборный!
Белый-белый,
Как свет

Поутру!
На моих жабрах
Меж перламутровым
И фарфоровым слоем -
Миллионы личинок!



По всему миру их разбросаю!
Они прикрепятся к рыбкам,
Их жизнь продлевая
Белком моей сказки.
Ну как не метать мне мой бисер?!
И перед тобою,
Мой Бог???
Топчи его дальше.
Ведь ты так устроил:
Мы, раковины, мечем икру
Большею частью
Пред теми,
Кто и не видит,
Не ценит
Даже одной жемчужины малой.
Мы – род Unionoida -
Очень странных моллюсков.
Миф?
Нет.
Реальность!
О! Да!
Мы – поэтессы -
Лекарство от стресса.
Думают люди, что мы ненадолго…

Мы – навсегда!
***
Ладонью к Каспию
Прикоснешься,
Забьется рыбкой он
В чешуе солнца.
Вот так глаза твои,
Где бы ты не был,
Во мне лазоревым
Горят небом!
То не ветра' ласково,
Зовут солнце.
То сердце Каспием
В груди бьется.

***
Море! Смотри – я ребенком ушла!
Мама, смотри!
Я ребенком вернулась!
Каспий мне платье
Свое подарил!
Мама, я снова могу
Поглядеть на тебя через эту рубашку,
Как через море,
Как через призму времен!

Вижу я жизнь прожиту'ю
Сквозь линзы
Великих различий.
Снова твоё, моя мама,
Я созерцаю Величье,
Благоговея почтенно,
Низко склоняю главу пред тобой!
Голос твоей колыбельной
Мне эхо вернуло.
Но только
На этот раз
Я не уснула
От песенки той,
А наяву осознала,
Как я
Ничтожно
Мала перед тобой.

***

Самая лучшая мама на свете!
Лети!
В лете!
В ромашковом поле!
Без зла и боли!
В счастье купайся!

И наслаждайся
Улыбками дочки!
Пусть солнышками
Ромашки
Тебе выстелют путь
Наисладчайшей доли!!!
И пусть твоя дочка, и дочка дочки,
И множество дочек их,
Как цветочки,
Радуют мир подзвездный!
Бездонный!
С днем рождения
Твоего совершенства!
Моя Мадонна!!!



***

О! Вы!
Вечные скептики!
И политики!
Примите мой вызов!
Я – Свет!
Солнцеед!
И поэт!
Я – физик, сотканный сплошь

Из музыки и
Лирики!
Подкова солнца
Сияет мне
Через море,
Чуть наклоненная вправо,
В своем вращении
Посолонь –
Восходя вертикально
По движенью эклиптики.

Я больше скажу.
Я – Русалка - Жар-птица!
И светит мне не одна звезда,
А ВСЕ звезды
Сумасшедшей галактики!
И то, что я не такая, как вы –
Практики! -
Не беда!
И знаете?
Когда-нибудь…
О! Да!
Я это вижу во времени!
Практики!
Да!

Вы сбросите маски!
Явив свои настоящие лица!
И все золото мира
Тогда
На чаше весов
Перевесить не сможет
Пера из хвоста
Той Русалки -
Жар-птицы!

***

Мама, смотри!
Я могу
Удивляться!
Прыгать и петь!
Веселиться!
Смеяться!
И бесконечно на солнце смотреть!
Ну а хрустальные туфельки
Стали
Вдруг велики!
В воду я в них,
Ты прости,
Забежала.
И потерялись они.

Это не слезы -
Восторги морские
Брызжут из глаз.
Принц?
Он ушел.
Улетел в свою сказку.
Туфельки?
Нет,
Ни одной не нашел.
Каспий их видно
С  усердием
Спрятал.
Крестный,
Ты знаешь его,
Он ревнивец.
Сказал:
- Или он,
Или – принц!



***

Ало
Небо сияло.
Мало
Света нам было.
Слава
Лила в бокалы!
Валом
Счастье валило!
Снова
Яд не допили –
Словно
Недомечтали.
Души
Недолюбили.
Слово
Не досказали!

Стали
Синими дали.
Стыло
грозы гремели.
Розы
В грязь опадали.
Ало

Щеки горели.
Луны
Злу услужили.
Пеплом
Сны догорали.
Солнце
В былях зарыли.
Стоном
Горы стонали!

Адом сердце болело.
Градом
Бури лупили.
Ало
Губы любили.
Миру
Не было дела.

Числа
В вечность уплыли.
Мыслью
Боль воссияла.
Смелость
Мы не забыли.
Бело

Вера спасала.

Небо
В снах трепетало,
В Боге
Смысл узнавая.
Ало
Жизнь  начинала
Яру
Сказку сначала.

***

Белый рассвет
Белым цветком
Над землей расцветает.
Бьется волна.
Белая чайка над морем летает.
Белое облако в мареве призрачном тает.
Мне не до сна.
Белый песок
Белые ножки мои принимает.
Белые волосы снова небрежно встряхну.
Были они также белы в четыре.
Но потемнели,
Потом поседели,

Ведь в мире
Снова
Между землею
И небом война.
Солнца дорожка,
Как меч Тамерлана,
Море пронзает стрелой.
Сердце пленится
Видением снова.
Белое небо –
Лишь отражение белого моря.
В мире покой.

В теплых глубинах
Гигантской белугой
Каспия сердце стучит.
В белом чашуйчатом теле
Таинственной рыбы
Белую мудрость
Хранит.

Белое облако в мареве тает.
Белая чайка над морем летает.
Бьется волна.
Белый рассвет

Белым цветком
Над землей расцветает.
Мне не до сна.

***

Мама, с тобою бывало ль такое,
Чтобы на море,
Точно во сне,
Но в сознанье нормальном,
Вне пониманья
Вошел в тебя сон?
Чтобы от солнца
Спускались ступени,
Как от балкона – балкон?
Облако в облако бы уходило,
Ты бы прикованным взглядом следила,
Как круговая какая-то сила
Строит ступени из снега
И неги
На небе
Круглых мерцающих облаков?
И со ступеней
Ждала ты,
Как спустятся в волны
Ангелы

В море купаться,
Как в сон?
Чтобы ветра, соревнуясь,
По кругу
Возле той лестницы



Друг перед другом
Лили на мир
Тихий звон?
Ты бы под лестницей этой стояла,
Белое солнце чтоб быстро читало
Все, что прошло до того.
Точно сканировав ленту былого,
Бог запускал твою душу
Для Новой
Высшей работы
Светло.
И обнулил твою память
Как будто.
Ты бы омылась
О синеву
Теплого моря.
И в ветряной выси
Небо бы мило тебе улыбнулось.
Ты бы тот час же от счастья проснулась,
Но не во сне,
Наяву.
Мама,
Скажи, сколько раз ты рождалась
Белым прекрасным китом?
Сколько судьба твоя обнулялась,

Сколько влюблялась
И огорчалась,
Перенасытившись сном?
Солнце меня пожалело,
Похоже,
Сняло как будто бы старую кожу.
К ней прилипали какие-то беды,
Мысли какие-то, не мои…
Сразу тот час же меня приодело
В новую кожу из звездчатой бездны,
Будто бы я -
Ящерка, птичка,
Лягушка,
Змея,
Или тритончик зеленый пузатый
С крыльями муравья!
Может быть даже, я стала
Жар-птицей.
И не успела я удивиться,
Стерло видения с неба
Движеньем
Жаркого дня.
Я проснулась.
Волны упали на грудь, точно сестры,
Ту обновленную

Новорожденную
В новых одеждах встречали меня,
Жалуясь мне,
Что они только волны,
Нет у них тела –
Вода лишь одна.
И, разбиваясь в рыданьях,
Слезы свои мне пытались
Выбрызнуть прямо в глаза,
Чтоб прониклось
Сердце мое
К их таинственной доле.
Чтоб непременно
Пролилась слеза.
Шумно мне в уши они голосили,
Ныли,
Стенали,
С собой уносили
В море мой запах,
Завидуя коже,
И волосам.
Мама, с тобою бывало ль такое,
Чтобы на море,
Точно во сне,
Но в сознанье нормальном,

Вне пониманья,
Или по снам
Чьим-то
Душа бы твоя прогулялась?
В гости зашла?
Чтобы легонько рукою махнула -
Лебеди б сразу же плыли к тебе,
Ну а другой и стараться не надо -
Солнце б таинственным коловратом
Чтоб укатилось за тучи обратно,
Морем шурша…
Мама, с тобою бывало ль такое?
Чтоб оживляло видения море?
Пела бы сказкой душа?



***

Сны
Первые
О любви
Принимала в подарок я.
Но они уходили.
Таяли.
Потом на месяца,
На года,
Десятилетья…
Меня покидали.

И, как в награду,
Снились снова они.
Падали градом.
Предвестники
Новой
Прекрасной любви
Всегда появлялись в видениях
В виде моря.
И я наслаждалась в волнах,
Проходя через все огорченья,
Потери и страх.
Я бы могла выпить их
С горя.
Но нельзя выпить любовь,
Как нельзя выпить море!
***
Мама! Я вижу цвет глаз твоих в море!
Их синева исключительно  ре'дка,
Как те сапфиры, что в вольном просторе
Жгут глубиной самых ярких оттенков!

Мама, я видела, туча бурчала,
Серую морось вокруг рассыпая.
И на глаза твои тень набежала,
Пряча сапфиры под серой вуалью.

Мама! Я вижу: лазурь голубая
Небом из глаз твоих льет оживленно!
Песни от этого петь, улетая,
Просится в небо душа окрыленно!

Мама! Я вижу в русалочьих волнах
Водоросли зеленеют призывно.
Как изумруды, глаза твои полны
Токов бесценной игры непрерывной.

Мама! Чернее нет ночи, чем бархат
Темных зрачков и ресниц твоих черных!
Я заглянула в их в бурю без страха!
Нет благородства того благородней!

Мама! Я вижу, как в солнечных бликах
Солнце вкруг омута светит влюбленно!
Вот и зрачков твоих омут сердитый
Точно увенчан златою короной!

Мама! Я вижу, как солнце пустыни
Белое море в себе отражает!
Добрый тот свет этих глаз синих-синих
Ангельским отблеском благословляет!

Мама, я вижу свое отраженье
В зеркале моря очей твоих ясных,
В дочке и внучке найдя утешенье,
Как повторенье легенды прекрасной!

# ДЕНЬ ЧЕТВЕРТЫЙ



***

Теплых волн Белизна,
Что тепло молока
Материнского,
Тянет к себе,
Как магнитом.
Можно просто стоять и вдыхать облака,
Феромонами в нежном пространстве разлитом.
Бриллиантною россыпью блики в волнах
Скатерть моря божественно вышили снова.
А на скатерти – солнце, как сон в зеркалах,
Отражается светом стиха золотого.
Белым барсом свернется седая волна
Возле берега, где мое детство воскресло.
Я пою колыбельную.
Пусть Белизна
Насладится мелодией маминой песни.

***

Добрых снов тебе, море мое.
Никогда
Я столь сладких мгновений не знала услады,
чем тогда,
Когда
Тихо ночная звезда

На волнах расцветала,
Как будто бы рядом.

Смело в волны входя,
Я листала все дни
Своей жизни стремительной,
Как Книгу Судеб,
В той,
Где люди оставили беды свои,
Среди праздников
И
Утомительных буден.

Ведь из книги теперь невозможно убрать
Ни проигранных дней,
Ни смятений суровых.
Буду море, тебе,
Это на ночь читать,
Точно странный роман своей жизни бедовой.

В том романе гостили враги
И друзья.
И стремились вписать наставления,
Споря.
Я бы что-то и вычеркнула,

Да нельзя,
Как не вычеркнуть разных течений из моря.
***
Шаль накинув,
С кистями из пены морской,
Волны,
Съежившись,
Как-то тревожно и зыбко,
Рыбку сбросили с плеч на горячий песок.
Любопытную,
Мелкую,
Глупую рыбку.

Видно в стае совсем зарвалась егоза,
И забыла,
Что крыльев-то нет
Для азарта.
Задыхается в пене.
Таращит глаза,
И не знает,
Как в море вернуться обратно.
Чешуею сверкая,
Аж больно смотреть,
Изливается вся серебристым отливом.
Но пойми же,

Ведь то не свобода!
А смерть!
Вот и чайки кружатся над новой поживой.



Вон уж мошки присели
И ждут,
Не шутя,
Чтобы жабры дышать прекратили попытки.
Ты не бойся,
Я выпущу в море тебя,
Ты плыви,
Только глубже плыви,
Моя рыбка!
Средь людей
Даже мне
Не сдержать свою грусть.
И в волнах,
Не тревожась убиться о камни,
Я с тобой поплыву.
И конечно вернусь.
Я еще не закончила песню
Для мамы!

Шаль накинув на плечи из пены морской,
Выйду снова на берег.
Как сложно и просто
Не русалкою быть,
И не рыбкой с хвостом, -
Человеком,

Мечтающим вырваться к звездам!



***

Воздается пред небом по подвигу нам.
Я наивной, как рыбка, была.
Я не знала,
Что всю жизнь мудреца я искала
Не там,
Не у тех я о тайнах святых вопрошала.
Мама,
Глупую дочь не ругай,
И прости,
Ведь она за детей
И за внуков
В ответе,
Лишь сейчас поняла,
Что мудрец – это ты,
Самый мудрый из всех мудрецов на планете!
Те вопросы я,
Мама,
Тебе принесла,
Не успела задать их в безоблачном детстве,
Когда вечность в спиралях ракушек цвела,
В бархат ночи вдохнув колыбельные песни.

02.08.2018г.

# სვეტლანა სავიცკაია
# ოთხი დღე კასპიაზე.
# მეტამორფოზები დედასა და ზღვაზე
# (პოემა)

## დღე პირველი

ჰაერზე მეტად ეს ჩაისა გავს,
მოუთიბავი ბალახებისა
და დასიცხულ ყვავილთა ნაყენს,
მე შევსვამ იმას,
თითქოს ალუჩა
მოედო ჩემს მხრებსა და სახეს,
და ბროწეული, სიმწიფისგან გადაპობილი,
მყის დამამშვიდებს.

***

აქეთ მოვრბოდი,
მოვცურავდი და მოვფორთხავდი,
დაჭრილ ფრინველის
მომსხვრეულ ფრთებით,
განბანვას ახალს სული ჩემი
ელოდა ჯერეთ,
რომ ფენიქსივით აღვმდგარიყავ
ფერფლიდან მერე.

***

სილაზე ვეძებ ბავშვობის წლებს,
ჩემო კასპიავ,
ვიპოვო დედის მოფერება
აუწონარი,
ასე ვარჩიე,
პატარას თვითონ მიკერავდა
კაბებს ზონარით,
პანამის ქუდსაც ის ავლებდა
მდიდრულ არშიებს.

***

არ მჯერა მე იმ იგავისა, ბრძენკაცმა სადაც,
მკვიდრმა ცივ ტაძრის, სასწაულის გაგება სცადა,
ბევრი იარა, გზის არაფრად ჩააგდო სიგრძე,
მკაცრ მსაჯულებს რომ განეჭვრიტათ იმისი სიბრძნე.
იგავი იგი, ძველთაძველი, პირდაპირ გვამცნობს-
თურმე ფარვანა დაეჭირა უტიფარ დერვიშს
და ჰკითხა ბრძენკაცს: მითხარი, რა მიჭირავს ხელში?
-ცოცხალი? მკვდარი? მოახსენა ბრძენკაცმა დინჯად:
-სულყველაფერი შენს ხელთ არის, სიბრძნეს ვინ სინჯავს?
აზრის გენიას მე ვკითხავდი სულაც სხვა რამეს,
უჭკვიანესო კაცთა შორის, პასუხი გამეც:
-რა მიზეზი სიყვარულის?
-რად უნდათ ომი?
- რაა მთავარი სიყვარულში?
-თუ აქვს რამე აზრი ცხოვრებას?
მე ამ კითხვებით, ზღვაო, შენთან მინდოდა მოსვლა,

ვნანობ, ვერ გკითხე ადრე, წლებში, ყრმობის ჟამისა,
მარადისობა ნიჟარებში ჰყვაოდა როცა
და იავნანას უმღეროდა ხავერდს ღამისას.

***

ადამიანებს თუ არ სჯერათ ერთმანეთისა-
სამწუხაროა.
ადამიანებს თუ არა სწამთ ერთმანეთისა-
სავალალოა.
თუ ღმერთი არ სწამთ ადამიანებს-
სისულელეა.
ღმერთს სწამს ისინი,
უწყალობა მათ დრო და სივრცე!
ისე, ვით მიწის სისქეს არღვევს,
ამოდის აზრი,
მცირე ყვავილად,
ცეცხლოვანი სურვილით სავსე,
ხდება ჩასახვა სიცოცხლისა კოსმიურ წყლებში,
თითქოს ერთხელ დედის დატოვებს წიაღს.

***

მე ამოვდივარ თბილი ზღვიდან, სილაზე ვწვები,
ცივ მიწას ჩემი სხეული ათბობს.
კაცი კვლავ ახლად იბადება
ისე, ვით ღმერთი,
ივიწყებს ცოდვებს ძველ ცხოვრებათა,
არ იცის და არც ახსოვს ისინი.

***

ნახევრად ტკბილი იყო ზღვა და ნახევრად მლაშე,
იქ, თეთრ სილაზე, სიარული ვისწავლე მაშინ,
ენაც იქავე ამოვიდგი, განვდევნე სევდა,
მერე ქარებთან, კასპიისა, ვსწავლობდი კამათს.
- დედა! დედიკო! შემომხედე! - ვიძახდი ხოლმე,
- მე უკვე ვიცი სიარული!
- სირბილიც ვიცი!
- წყალში დაყვინთვა შემიძლია!
- წერა ვისწავლე!
- დედა, შეკრებაც შემიძლია ურთულეს ციფრთა!
მიყვარდა ლექსად თქმული ზღაპრები-
ადამიანებზე, ეშმაკებზე,
თვით ღმერთებზედაც,
სიყვარულსა და მოთმინებაზე.
ჩემს სიზმრებს ტალღა ხელისგულზე აქანავებდა,
მიხსნიდა იგი უაზრობას უნიჭობისა.
ძირამდე, ფსკერამდე მიყვარდა მე ზღვა,
ისე არავის ვყვარებივარ ჩემს სიცოცხლეში.
ოთხი წლისა უკვე ვმღეროდი.
ხუთისა მივხვდი, რომ შემეძლო
გასაოცარი თევზების ხატვა.
ვისწავლე ყურის გდება, მოსმენა,
ვარჩევდი სიტყვებს,
პატიებასთან ისიც ვისწავლე,
რომ შეცდომები აღარ მომსვლოდა.
ვაკვირდებოდი ჩემს ბავშვობას,
ყმაწვილქალობას.
ჭაღარას ისე მოველოდი,
ვით ცის სასწაულს!

წლები გუნდებად მიფრინავდნენ სამხრეთისაკენ.
მიჭირდა თოვლზე სიარული, თანაც მტკიოდა.
განვვლე ცხორების ნახევარი.
თუ მთლად ცხოვრება?
ორმოცდაათი - ყველაფერია?
თუ ნახევარი?
და მითხრა ერთხელ კასპიამ მშვიდად:
- გამოიღვიძე!
დამიძახე და მიმიზიდა კვლავინდებურად.
კვლავაც ნაპირზე დავსეირნობ ჭაღარა სილის,
ნახევრად ტკბილი და ნახევრად მომლაშო ზღვისა.
თოვლზე კი არა, ნაღველი რომ მოვიგერიო,
სილაზე დავალ,
მიზიდულობას ვეპაექრები.
ო, დედა, დედა! მიგდე ყური -
მუდამ ვჩურჩულებ,
რათა არავინ არ გაიგონოს,
არ მინდა, გიჟი ვეგონო ვინმეს!
- მე...
შევეთვისე ხმის გაკმენდას!
- შემხედე!
- ვდუმვარ!
-ვცდილობ, მოგბაძო, ღირსეული ვიყო შენსავით.
ლამაზ იგავებს ვუწერ ხოლმე ადამიანებს,
ეშმაკებს, ღმერთებს,
სიყვარულისთვის, მოთმინებისთვის.
მიყვარხარ, დედა,
მე მჯერა შენი.
და მე ვლოცულობ იმ შენს წმინდა შთაგონებაზე.

სიზმრებს ისევე აქანავებს კასპიის ტალღა
და ლაჟვარდოვან სიმაღლეში ალღობს ანარეკლს.
მე მამაკაცი ერთიანად, ძირამდე მიყვარს,
როგორც არავის ვყვარებივარ,
ჩემს ცხოვრებაში.

***

გადატვირთვანი.
დარეკვები.
ზარი არ გადის.
კასპიაში ვარ და ბავშვობას, ჩემსას ვიხსენებ.
გთხოვ, დამირეკე!
გიპასუხებ, რომ კარგადა ვარ.
ნუ აღელდები.
აქ ვიმყოფები,
ზღვაზე, ძვირფასო!
არაფერი მაქვს სამწუხარო,
თუმც შენ შორსა ხარ,
მე კი უკვე გავჭაღარავდი.
მომაგონდება, რარიგ ლაღად ვიყავი, დედა,
შენს მკლავებში რომ ჩავიძინებდი...
თუმცა გავწვალდი, სიმხურვალე შემომრჩა სულის,
მრავალს და მრავალს გაათბობს იგი!
დამირეკე და გეტყვი - კარგად არის ყოველი.
დედა,
ვისწავლე მოფრთხილება მე შენი გულის!

# დღე მეორე

***

მოჰყვა სხვა ბრწყინვალება ამ განთიადს, ნეტარს,
ბევრის მომთმენ სიცოცხლეს გინდა უძღვნა ქება,
ადრე გაგეღვიძება, გაიხსენებ დედას,
გაიქრები მაშინვე, მზეს რომ შეეგებო.
გუშინ, შეღამების ჟამს, ცა მთლად დაითალხა.
არ ისმოდა, მიწყნარდა ნაბიჯები ქარის,
უპირებდა გაგლეჯას დამთრგუნველი ტალღა,
მზის გულს, მწვანეს, დარდისგან გასჩენოდა ბზარი.
დილით თითქოს ბავშვობის სიმღერის ხმა გაისმა,
მებრალება, ის წამი არ უნახავს ვისაც;
სხივთა მიმომბნეველმა, მოსრიალე აისმა
დროშასავით აღმართა მწვანე გული მზისა.
რაგინდ სცადოს, სიკვდილი ვერ დაიდგამს გვირგვინს,
გათენებას, ამდაგვარს, ყველამ ეთაყვანეთ!
დღეს მზე მწვანე გულს აჩენს, ხალისს აფრქვევს ირგვლივ,
სიყვარულის გული აქვს - ანთებული, მწვანე!

***

მე შემიძლია,
ძალზე იოლად,
ვიქცე პრინცესად!
ნაპირისაკენ გავვარდები
ჯიქურ, ჯიუტად
და ვიტანტალებ ფეხშიშველა,
ოქროს სილაზე.
ძალმიძს დავისვა ხელისგულზე
ასი ქარი კასპიის ზღვისა!

ასი იმედი!
ქაღალდის ფრანს კი
მივგრეხ- მოვგრეხავ,
მერე ტყიანი
მთისკენ გავუშვებ.
ქარბუქებს, მზისას,
მხიარულებს,
მაგრა ჩავბღუჯავ
და საფეთქლებზე შემოვიხვევ
წნულების ბოლოს.
მერე კი, როგორც ადრე ვიცოდი,
გადვიკისკებ,
ღრიალს მოვრთავ,
ავქვითინდები,
მთლად ავფეთქდები!
ყველას შეშლილი ვეგონები,
დაე, ვეგონო!

***

კასპიავ, ნუღარ შფოთავ, ძვირფასო.
რას იტყვი, ხელი რომ გადაგისვა?
ო, ნუ ცახცახებ.
მე სამშვიდობოდ მოვედი შენთან,
ალერსიანო,
ონავარო
და მობუზღუნევ,
ჩემო ანცო და ჩემო დიდო,
რა თეთრი ხარ და,

ამასთანავე,
ცეცხლოვანი, მზესავით, ჯიქი!
თეთრი, ვით ზეცა!
ნათელს გავხარ მიღმა სულისა.
ფართო ხარ და უზარმაზარი,
ასი ხელი ვერ შემოგწვდება.
მახსოვს სურნელი
შენი ზღვისპირა
პირველი სიმინდისა.
მახსოვს გემო გამომცხვარ კვერის
და თაფლისა, კეთილ ფუტკრების,
ზედ ცხვირის წვერზე რომ მასხდებოდნენ.
გაფრინდნენ წლები.
ეს ყველაფერი კი ჩემთან დარჩა,
სამარადჟამოდ.
შავ ღამეში - ვარსკვლავები
თეთრ ლოკოკინებად ჩანან,
ლამპიონთა შუქი გზაზე დაღვრილა.
დედაჩემი გვერდით მომყვება...
გრძელი ჩრდილები,
უგრძელესი, რაც კი მინახავს;
არ ვემდურები, რადგან ნათელი
ბავშვობის ჯიბეებიდან
მზე მარგუნეს და ტკბილი სიმღერა.
აქ, ამ სილაზე,
მე ვგრძნობ სიტყვას
დედაჩემისა.
დედის ხელი ეხება ჩემს ხელს.
დედას მივყავარ კვლავ შარაგზაზე.

მე კარგადა ვარ, აღარა მიჭირს.
დედა, მახსოვს ის გემო სიმინდის.
მახსოვს ლოკოკინები.
საზამთროები.
მედუზები.
თეთრი სილა და რწმენა იმისა,
სანამ ხელი გაქვს ჩემზე ჩაჭიდებული,
ცუდი არაფერი მომივა!

***

რანაირად შევძლებ,
როგორ ამოვხაპო ჩამჩით
ნახევარი სამყარო!
თევზები გალაქტიკებად
აფართხალდებიან მასში!
კასპიაში შხეფებად ჩავანთხევ:
თავისუფალ ნებას ვაჩუქებ
ველურ ვარსკვლავებს,
სამხრეთის ჯვრის მიღმა.
ქარი იბორიალებს
ჩემს სულში.
ქარის წივილი.
უსახლკარობა.
ფრთხილად
სიმშვიდე ეღირსა
ჩემს სულს.
სიმშვიდე.
იქ ჩავუშვებ ღუზას,

სადაც ნაზად ციმციმებს
დიდი დათვის თანავარსკვლავედი.
ტკივილი ჩემი დაამდება, გაყუჩდება.
კოსმოსური მზის ქარი
იქცევა მტვრად!

***

თოლიების წამახული ფრთები
რძისფერ სილას,
თავისუფლების თეთრი სიმღერით,
ისრებივით კვეთენ...
თუ გესმის იგი?
არა?
რას მეუბნები?
შენი კაბინეტის ფარდები
არ ჩამოუშვა,
ოთახს ნუ ჩააბნელებ!
თოლიები გაგანდობენ
სიტყვის საიდუმლოს!
ჯერ არ წაგიწერია სილაზე?
არა?
დახაზე!
აი, ეს სიტყვა:
მარადისობა...
მასაც ტალღები წარეცხავს,
მაგრამ არა უშავს...
ნუ ინაღვლებ.
ხელახლა დააწერე...

და ასე, დაუსრულებლივ.
დაე, ჩვენი ცხოვრება
სწრაფად გადიოდეს. –
გიყვარდე!
სიცოცხლის აზრს
ზღვა ვერ წაშლის.
თუნდ სათითაოდ გაფრინდნენ თოლიები
გუნდებად,
ყივილით დაკაწრონ ჰაერი
თავიანთ სამოთხისებურ
ტაძარში.
სულ მალე,
მონანიე ანდა მლოცველი,
ძილის მარტოობაში,
როგორც სუდარაში
ამას თვითონვე მიხვდები.

***

მე არა ვარ თავისუფალი...
მაგრამ იქ...
სადაც მე არა ვარ
იცოდე, მაინც ვიქნები...
თოლიებმა ჩამძახეს
გასახარი ამბავი,
ეს გავდა ოცნებას
და მე მივხვდი,
რას ნიშნავს -
თავისუფლება და

## პატიოსნებაю

***

როცა ზღვა ერთხელ აღელდება-
არაფერია!
მოითმენ!
მეორედაც რომ აღელდება-
ბრიყვები კვლავ
ნერვებს იწეწავენ,
ისე, ვით ქარები აფრებს,
გრიგალის დროს...
სისხლს აფორიაქებს
ტემპერატურის მატება!
მესამედ რომ აღელდება ზღვა -
რატომ იყურები
თავხედურად?
სიჩუმეა.
იყუჩე.
მე იგივე ვარ, რაც შენ!
მე - შენი
სიმღერა ვარ!
ზღვამ დაიძინა
შენს ფეხებთან,
ქუსლები აგილოკა.
ან აგიხდა , რაც გადაგხდა
ანდა ხედავ -
საამო სიზმარს.

# დღე მესამე

## დილა
***

სად გრეხს სამყაროსეულ სადედო ძაფს
სახებრწყინე-ებული
და
დი-ი-დი
დეეე,
კასპიაში როცა ვირეკლებოდით, ცურვა გვიწევდა
ერთად!
გახსოვს,
ჩემო,
დე-ე-ე-და-ა???!!!
ეს არ იყო დიდი ხნის წინ, თითქოსდა გუშინ,
ვმწიფდებოდი მე, მთებს შორის,
იქ, სადაც ქარებს სძინავთ.
შენ მუდამ იმას ამბობდი,
რომ მამაჩემის ბედნიერებისთვის დამბადე
სადედოფლო ქალი!
ჯადოქარი.
ჩემო დედავ,
ღვთისმშობელო!
შენთვის ხეობებში ძალებს აგროვებდა ნისლი,
ოთხი იდუმალი მხრიდან,
ოთხი გზიდან.
სამყაროსმაგვარ,

გადამწიფებულ საზამთროსავით
ვფუვდებოდი შენში,
დედი-ჯან!
ჩვენ გაგვთიშა ერთხელ
ჩემმა პირველმა ჩასუნთქვამ.
„ირმის ნახტომის“ ჭიპლარმა
უთვალავი ჭავლებით
პერანგს გადასცა
ასობით
საგვარეულო რუნა.
იმ შენი რძით,
დედა - ხანუმ,
ჯვარი დამწერე
თავგანწირვისა და
ბრძოლებისათვის.
დედის ნათელი
დღისაზე უფრო ბრწყინვალეა!
ცაზედაც ფართო!
და ოკეანეზეც ღრმა!
თეთრი ტაძრების გუმბათზედაც მაღალია -
დედავ ჩემო, ასე ვცან!
სანტა - დედავ ჩემო,
ჩემო დედა-სან!
ნაყოფის მახლობელ
ტალღების გაბანვით
მაჯისცემის ახალ ხვეულს გამოსცემს
დედა-ოცნება, რომელიც მუდამ
ჩემთან იმყოფება.
დედა - ჩემი რწმენა,

დედა - ჩემი სიყვარული!
ბავშვობის დროინდელ იავნანებში
აღორძინდა აღთქმა.
ჩემი დედა-ზაფხული ინახავს მას,
დედა-ზამთარი,
ჩემი დედა იმედი,
და დედა-ნათელი,
დედა - მფარველი ჩემი,
წმინდა დედა ჩემი.

***

მოისმინე,
რომელი ნიჟარები მღერიან ქარიშხალში
აქნევისას!
კიდევ ერთი აქნევა!
და მე გავფრინდები!
ქართა ფრთებით!
ასე, ტალღების თავზე,
ორმოცდაათი წელი,
სიზმრებშიც არ მიფრენია!
***

გამარჯობა,
ტბა-ზღვაო ჩემო!
გამარჯობა, დიდო ზღვავ!
ყოველ დილით შენი თეთრი ჭა
ახალ თეთრ მზეს ბადებს.
მივჩერებივარ მას,

თითქოსდა დროთა ლინზებით.
სიმართლე რომ ითქვას,
კასპია კი არაა ჩემს წინ მუხლებზე.
ეს მე ვარ ლურჯთვალებას წინაშე,
როგორც დამჭკნარი მზე, დამხობილი.
ვიცი, შემჭამ, ზღვაო!
ტკივილამდე მებრალება
ეგ შხეფები!
დაცემული შხეფების
მაქმანებში გავიხლართე.
წამიძვრე, ზღვაო, ხელიდან,
როგორც ხელთათმანი!
კლდეები დუელში გამოიწვიე
და გამისროლე დედამიწის გულში.
გაიმარჯვე.
და მოკვდი ჯავრისაგან
უმისობის გამო.
უთეთრეს ნისლად
აღსდექ, აღორძინდი.
მითხარი სიმღერები,
რომელთა უმჯობესი
ქვეყნიერებაზე არ მოიძევება.
ხმაურით,
ბათქა-ბუთქით,
არნახულად დამაბრმავებელი ტალღების
ერთმანეთთან შეხეთქებით,
ისევ სილაში დავარდი
ჩემს წინაშე.
შემიკერე კაბა ქარისა,

ყველაზე თეთრი,
უნაზესი ფეტრისაგან,
ყველაზე გამჭვირვალე ტალღების ფერისა,
ყველაზე ღრმა დინებების სადარი.
ამ მონათლულ პერანგს,
ათინათებით რომ მომიქარგე,
სადაც წავალ, ყველგან თან წავიყოლებ.
უკეთეს კაბას ვერც ინატრებდა პოეტი,
იგი ცისარტყელასა და სინათლისგან
არის მოქსოვილი.
ძვირფასო, მონდობილო, კასპიავ ჩემო,
მეც არ დაგრჩები ვალში.
არ გამოვიჩენ სიძუნწეს,
ყველაზე დახვეწილი სიტყვების მარგალიტებს,
მძივებად ასხმულს, უხვი გულიდან ამოვიღებ,
ჩემი სიმღერით საუკუნოდ გასახელებ.
ხოლო იმ პერანგით ღმერთის წინაშე წარვსდგები.
ხმადაბლა ვეტყვი, რომ მე იგი მიძღვნა,
ვინც ბავშვობიდანვე მიფრთხილდებოდა
და ვუყვარდი!
დედაჩემმა ზღვას მოანათვლინა ჩემი თავი,
ჩემი ნათლია შენა ხარ.
შენი ნათლობის ძალა,
როგორც ნიშანი,
მუდამ ჩემთან დარჩება.

***

შენ - მათემატიკოსი ხარ,

მე კი - პოეტი ქალი.
მუდამ თავს ვიცავ.
შენ კი შენი ლაშქარი
ყოველთვის ღორეულად გამოგყავს
ჩემს წინააღმდეგ.
სოლივით შემოიჭრები ხოლმე.
არავითარი ცნობისწადილი არა გაქვს იმისა,
რაც მე მეძვირფასება.
მე ვარ Unionoida –
მარგალიტის დამბადებელი ნიჟარა,
უბრალო კი არა,
ათასსაგდულიანი!
ვიღაც ყრის ქვირითს,
მე კი - მძივს,
მეტწილად, რჩეულ მარგალიტებს!
განთიადის ნათელივით თეთრს,
თვალისმომჭრელად ქათქათას.
ჩემს ლაყუჩებზე,
სადაფისა და ფაიფურის
ფენებს შორის,
მილიონობით ლარვაა!
მთელ ქვეყნიერებაზე ვფანტავ.
ისინი თევზებს ეკრობიან
და ჩემი ზღაპრის ცილა
სიცოცხლეს უხანგრძლივებს მათ.
როგორ არ უნდა გავაბნიო ჩემი მძივი?
შენს წინაშედაც,
ჩემო ღმერთო???
კვლავაც გათელე იგი.

შენ ხომ ასე დააწესე:
ჩვენ, ნიჟარები ქვითირს ვყრით,
უმეტესად იმათ წინ,
რომლებიც ვერ ხედავენ,
ვერ აფასებენ
თუნდაც ერთ პაწაწინა მარგალიტს.
ჩვენ ვართ უცნაური მოლუსკის,
Unionoidთ-ს მოდგმა.
მითია?
არა,
სინამდვილე.
ჰო! დიახ!
ჩვენ - პოეტესები
სტრესის მკურნალები ვართ.
ხალხს ჰგონია, რომ მცირე ხნით...
არა - მუდმივად!

***

კასპიას ხელისგულს მიადებ
და იგი თევზივით ასხმარტალდება
მზის ქერეჭში.
სწორედ ასე, შენი თვალები,
სადაც არ უნდა იყო,
ჩემში ლაჟვარდოვან ცასავით აენთებიან!
ალერსიანად,
ქარს კი არ ეძახიან მზეს.
ეს ჩემს მკერდში
კასპია გულივით ფეთქავს.

***

ზღვაო, შემომხედე - ბავშვი წავედი აქედან!
დედა, შემომხედე!
ბავშვად დავბრუნდი!
კასპიამ მე თავისი
კაბა მისახსოვრა!
დედა, მე კვლავ შემიძლია,
ამ პერანგიდან გამოგხედო,
როგორც ზღვიდან,
როგორც დროთა პრიზმიდან.
განვლილ ცხოვრებას
დიდ განსხვავებათა
ლინზიდან ვაკვირდები,
კვლავ ვჭვრეტ, დედა,
შენ სიდიადეს!
თაყვანისცემით, მოკრძალებით,
თავს დაბლა ვხრი შენს წინაშე!
შენი იავნანის ხმა
მე ექომ დამიბრუნა.
მაგრამ ამჯერად
მე არ დამიძინია,
შენი სიმღერის გაგონებაზე.
მე ცხადლივ შევიგრძენი,
რამდენად უსუსური, პატარა ვარ,
შენთან შედარებით.

***

ყველაზე უკეთესო დედავ მთელ ქვეყნიერებაზე!
გაფრინდი!
იფრინე ზაფხულში,
გვირილებიან მინდორში!
სიბოროტისა და ტკივილის გარეშე!
ბედნიერებაში იბანავე!
ისიამოვნე, დაგატკბოს-
შენი ქალიშვილის ღიმილმა!
დაე, გვირილებმა,
პაწაწინა მზეებით,
მოგირთონ და გაგიფინონ
უნეტარესი ხვედრის გზა!!!
დაე, შენმა ქალიშვილმა და ქალიშვილის ქალიშვილმა,
მათმა უთვალავმა ქალიშვილებმა,
როგორც ყვავილებმა,
გააბედნიერონ ვარსკვლავქვეშეთის
უძირო სამყარო!
შენი სრულყოფილების
დაბადების დღეს მოგილოცავ,
ჩემო მადონა!!!

***

ჰეი, თქვენ!
მარადიულო სკეპტიკოსებო!
და პოლიტიკოსებოც!
მიიღეთ ჩემი გამოწვევა!
მე - სინათლე ვარ!

მზის შთანთქმელი!
და პოეტი ვარ!
მე - ფიზიკოსი ვარ,
მთლიანად მუსიკისა და
ლირიკისაგან მოქსოვილი!
ოდნავ მარჯვნივ გადახრილი
ზღვიდან, მე მინათებს
მზის ნალი,
იგი ვერტიკალურად ამოდის
და მიჰყვება
ეკლიპტიკის მოძრაობას.
მეტსაც გეტყვით.
მე ვარ ფერია, ფასკუნჯი!
და ერთი ვარსკვლავი კი არა,
ყველა ვარსკვლავი მინათებს
შეშლილი გალაქტიკისა!
პრაქტიკოსებო!
თქვენი მსგავსი რომ არა ვარ,
ეს არ გახლავთ უბედურება!
და იცით კი?
ოდესმე...
ო, ასე იქნება!
პრაქტიკოსებო!
მე ამას დროში ვჭვრეტ!
დიახ!
თქვენ ჩამოიხსნით ნიღბებს,
გამოაჩენთ ნამდვილ სახეებს!
და მაშინ სასწორის პინაზე,
მთელი ქვეყნიერების ოქრო

ვერ გადასწონის
იმ ფერიისა თუ ფასკუნჯის
კუდის ბუმბულებს!

***

დედა, შემომხედე!
მე შემიძლია გაოცება!
ხტუნვა და სიმღერა!
მხიარულება!
სიცილი!
და ძალმიძს, დაუსრულებლად ვუმზირო მზეს!
ხოლო ის ბროლის ტუფლები
უეცრად გადიდდა!
უნდა მაპატიო,
ისინი მეცვა და ისე შევირბინე წყალში
და დავკარგე.
ეს ცრემლები არ გეგონოს-
ზღვისეული აღტკინებანი
მეღვრება თვალთაგან.
უფლისწული?
იგი წავიდა.
თავის ზღაპარში გადაფრინდა.
ტუფლები?
არა.
ცალიც არ მოიძებნა.
ეტყობა, კასპიამ
გულდაგულ გადამალა.
ნათლიავ,

შენ იცნობ მას,
ძალზე ეჭვიანია.
ასე მითხრა:
ამ - მე, - ან - უფლისწულიო!

***

კეცად
ბრწყინავდა ზეცა.
მალე
გავახელთ თვალებს.
სავსეს
ჩვენ ვსვამდით თასებს.
შორი
ფრთებს შლიდა ქორი.
ტალღამ
არ იცის დაღლა.
ღამით
შეგვასვეს შხამი.
კოცნას
არ უნდა მოცლა.
შურით
გახდები უბედური.
სიტყვა
ჯობია ითქვას.
ვხედავ
სიმწვანეს ტყეთა.
მეხი
ელვას სდევს, გრეხილს.

ვარდმა
დაიწყო ბარდნა.
ლოყას
სიწითლე მოყვა.
მთვარეს
ეცვალა მხარე.
ფერფლი
დამწვარი მსხვერპლის.
მზისას
შევხარით ისარს.
დღესაც
მთებს დასცდათ კვნესა.
სეტყვა კრამიტებს ხეთქავს.
ეზოში დიდი ხე დგას.
სოკო
ვერ გაშლის კოკორს.
საქმე
სიკეთეს აკმევს.
უსასრულობაში
გაფრინდნენ რიცხვები,
რაღა შეგაჩერებს,
წამებავ, იწყები.
შვენის შემოდგომას
ქარვა და გიშერი,
იმედდაკარგულებს
რწმენა თუ გვიშველის.
ცამდის
სიზმრები ადის.
ღმერთი

გაგვიგებს ერთი.
გვალვამ
გაახმო ალვა.
პაპა
გვიყვება ზღაპარს.

***

თეთრი განთიადი,
თეთრი ყვავილივით
მიწას ეფინება.
დგაფუნობს ტალღა,
თოლია თეთრი მოწყდება ზღვას,
მიიწევს მაღლა,
თეთრ ღრუბელს, რომ დნება,
მირაჟი ახლავს.
რაღა დამაძინებს,
თეთრი სილა
მეყრება თეთრ ფეხებზე.
თეთრ თმას უნდილად გავიჩეჩავ.
ოთხი წლისასაც ასეთივე თეთრი მქონდა,
მერე გამიმუქდა,
ბოლოს გაჭაღარავდა,
სამყაროში ხომ
ცასა და მიწას შორის
კვლავ გრძელდება ომი.
ბილიკი მზისა-
ტამერლანის ხმალი,
ისარივით კვეთს ზღვას.

საამოდ ამიძგერდება გული,
ამ ხილვის შემხედვარეს.
თეთრი ცა მხოლოდ ანარეკლია
თეთრი ზღვისა.
ქვეყნიერებაზე სიმშვიდეა.
თბილ სიღრმეებში
ვეებერთელა ბელუგას მსგავსად,
გული უცემს კასპიას.
იდუმალი თევზის
თეთრ, ქერეჭიან სხეულში
თეთრი სიბრძნე ინახება.
თეთრი ღრუბელი მოლანდებაში დნება.
თეთრი თოლია ზღვის თავზე დაფრინავს.
ტყლაშუნობს ტალღა.
თეთრი აისი თეთრი ყვავილივით
გადაფენია დედამიწას.
რა დამაძინებს.

***

დედა, შენ თუ დაგმართნია ასეთი რამ,
რომ ზღვაზე,
თითქოსდა ბურანში,
მაგრამ გონზე მყოფს,
შენდა უნებურად
შემოგპარვია სიზმარი?
თუ გინახავს რომ მზისგან
საფეხურები ეშვებოდეს,
როგორც აივნიდან - აივანი?

ღრუბელი ღრუბელში შესულიყო.
შენ თვალს ვერ მოაშორებდი,
რაღაც წრიული ძალა,
მრგვალი, მოციმციმე ღრუბლების ცაზე,
თოვლისა და განცხრომისაგან,
როგორ იშენებს საფეხურებს.
იმ საფეხურებიდან
თუ ელოდებოდი შენ,
როგორც სიზმარში,
როგორ ეშვებოდნენ,
ანგელოზები ტალღებზე,
ზღვაში რომ ებანავათ?
ერთმანეთს გაჯიბრებული ქარები,
იმ კიბის მახლობლად,
წრეში მოტრიალენი,
ერთმანეთის პირისპირ,
როგორ აღვრიდნენ ქვეყანას
ზარის ჩუმ წკრიალს?
შენ ალბათ იმ კიბის ქვეშ დადგებოდი,
რომ თეთრ მზეს სწრაფად წაეკითხა,
რაც მანამდე მოხდა.
თითქოს გადაიღო წარსულის ფირი,
ღმერთი შენ სულს ნათლიერად გზავნიდა
ახალ, უმაღლეს ქმედებათათვის.
მან წაგიშალა მეხსიერება,
თითქოსდა თბილი ზღვის
სილურჯეში განბანილიყავი.
ქარის სიმაღლეში
ცა კეთილად გაგიღიმებდა

და სიხარულისგან მყისვე გაიღვიძებდი,
სიზმარში კი არა,
ცხადში.
დედა,
მითხარი, რამდენჯერ დაიბადე
უმშვენიერეს თეთრ ვეშაპად?
რამდენჯერ გაგიცამტვერდა ბედი,
რამდენჯერ გიყვარდა და
განაწყენებული დარჩი,
სიზმრისგან გულმოყირჭებული?
ეტყობა,
მე დამინდო მზემ,
მეჩვენება, გამაძრო ძველი კანი,
რომელსაც რაღაც უბედურებანი ეკრობოდა,
ნაირ-ნაირი აზრები, არა ჩემი ...
მაშინვე ვარსკვლავიერი უფსკრულიდან,
ახალი კანით შემმოსა
ვითომდა ვიყო
ხვლიკი, ჩიტუნა
ბაყაყი,
გველი,
ანდა ჭიანჭველასფრთებიანი
მწვანე, გატიკნული პაწია ტრიტონი!
ისიც შეიძლება,
მე ფასკუნჯად ვიქეცი
და გაოცებაც ვერ მოვასწარი,
დღის მცხუნვარებამ
ცაზე გამოსახული
ხილვები წაშალა.

მე გამომეღვიძა.
განახლებულს,
ახლად შობილს,
ახალ სამოსელში გამოწყობილს,
მკერდზე დამეცნენ ტალღები, როგორც დები.
შემომჩივლეს,
რომ მხოლოდ ტალღები არიან,
წყლად დარჩენილებს, არა აქვთ სხეული,
ქვითინი დაიწყეს,
უნდოდათ, თავიანთი ცრემლები
თვალებში მოესხურებინათ,
რათა ჩემს გულს ეგრძნო
მათი ფარული ხვედრი.
უნდოდათ, მეც უცილობლად
დამეღვარა ცრემლები,
ხმამაღლა ჩამძახოდნენ ყურში,
წუწუნებდნენ,
ოხრავდნენ,
თან წაიღეს ზღვაში
ჩემი სურნელება,
შეშურდათ ჩემი კანი
და თმა.
დედა, თუ დაგმართნია ასეთი რამ,
რომ ზღვაზე მყოფს, თითქოსდა ზმანებაში,
თანაც გონშერჩენილს,
გაგების გარეშე,
სხვისი სიზმრების კვლადაკვალ,
თუ გაუსეირნებია შენს სულს.
სტუმრად შეიარე ვიღაცასთან.

საკმარისი იყო, ხელი ნელა აგექნია,
გედები ხელად მოცურდებოდნენ შენთან.
სხვა რამე არც უნდა ეცადო,
მზე, ამოუხსნელი მოძრაობით,
უკან დაიხევს და ამოეფარება ღრუბლებს,
ზღვას ააშხრიალებს...
დედა, თუ დაგმართნია ასეთი რამ?
რომ ხილვები გაეცოცხლებინა ზღვას?
ზღაპარი სიმღერად ეთქვა სულს?

***

პირველ სიზმრებს სიყვარულზე
მე საჩუქრად ვიღებდი.
თუმცა ისინი მიდიოდნენ, დნებოდნენ,
შემდეგ თვეობით,
წლობით,
ათეული წლების მანძილზე,
მშორდებოდნენ, მტოვებდნენ.
მერე, როგორც ჯილდოს,
კვლავ ვნახულობდი სიზმრებს.
სეტყვასავით ცვიოდნენ ისინი.
მაცნენი ახალი,
უმშვენიერესი სიყვარულისა,
მუდამ ხილვების სახით
მეცხადებოდნენ.
და მე ვნებივრობდი ტალღებში,
მავიწყდებოდა ყველა წყენა,
დანაკარგი და შიში.

სიმწრისგან შემეძლო
დამელია ისინი.
მაგრამ შეუძლებელია სიყვარულის დალევა,
როგორც ვერ დალევ ზღვას!

***

დედა, ზღვას მაგონებს მაგ თვალთა ფერი,
შევხარი სილურჯეს, იშვიათს, ძლიერს,
სიღრმეში, მგონია, ტალღები მღერის,
ძვირფას საფირონთა რომ იკრავს იერს.

დედა, შევყურებდი მოღუშულ ღრუბელს,
შევწუხდი, რა ცივად ჟინჟლავდა, ცრიდა,
თვალთა დაეჩრდილა ორთავე უპე,
საფირონს პირბადე დაეცა ციდან.

დედა, შენს თვალებში მე ლაჟვარდს ვხედავ,
იმათგან სიცოცხლე მაწვიმს და ვკრთები,
ვერც-რა დამავიწყებს ამ წუთებს ნეტარს,
როგორ გაუშლია სიმღერას ფრთები.

დედა, ვაცქერდები ტალღებს ფერიათა,
წყალმცენარეების მომნუსხა რხევამ.
ჭავლების ლივლივი თამაშობს ნიადაგ,
თვალთა ზურმუხტებში ნარნარად შევა.

დედა, ეგ გუგები შავია ღამეზე,
წამწამთა სიშავე თვით ხავერდს ჩაგრავს,

არარა მიხილავს ამის უამესი,
რა ჯილდო არგუნე შენს პირმშოს, ნაგრამს.

დედა, სხვა სიწითლე ედება მორევს,
მზის ათინათები ანათებს რადგან,
არასდროს ყოფილხარ დუნე და მდორე,
შენს თვალებს ხომ ოქროს გვირგვინი ადგას.

დედა, გეგონება, რომ ეს ზღვა თეთრი,
გულში ჩაიკონა უდაბნოს მზემო,
ერგო ანგელოზის, ლურჯ თვალებს ხვედრი,
უფალმა დაგლოცა, მშობელო ჩემო!

დედა, ზღვის ამრეკლავ სარკესთან მიმიშვი,
მომსკდარ სიხარულს ვერ შევძლებ მორევას,
სიცოცხლე გადაეც ქალიშვილს, შვილიშვილს,
უჭკნობი ლეგენდის ხარ განმეორება!

# დღე მეოთხე

***

დედის რძესავით თეთრი და თან ტკბილი ტალღები,
როგორც ახლობელს, მიზიდავენ ანდამატივით,
ნაპირთან ვდგავარ მოღიმარი და გალაღებით,
ღრუბელთ სურნელი შევისუნთქო, მერგო პატივი.
რამ გააბრწყინა ეს ტალღები ბრილიანტებად,

მორთულია და მოქარგული ზღვის სუფრა მათგან,
მზემ წყლის სარკეზე სიზმარივით იცის ანთება,
ყველაფერს ლექსის ოქროსფერი ნათელი ადგას.
თეთრი ჯიქივით იგრაგნება ჭაღარა ტალღა,
ნაპირთან, სადაც შევიგრძენი ბავშვობის ბანგი,
ჩემს იავნანას ადრინდელი სინაზე ახლავს,
სითეთრეს დედის სიმღერისა დაატკბობს ჰანგი.

***

მოგესალმები, ზღვაო, სიზმარებს გისურვებ კეთილს,
ისეთი ტკბილი არასოდეს მქონია წამი,
ულამაზესი საჩუქარი ეს იყო ბედის,
ტალღებზე იწვა და ჰყვაოდა ვარსკვლავი ღამის.
მეც იმავ ტალღებს მივაპობდი, ისე, ვით წიგნი,
ჩემი ცხოვრება წავიკითხე, ჩავლილი სწრაფად,
ყველამ თავისი წილი კვალი დატოვა შიგნით,
ზეიმთა გვერდით ბევრი იყო წვალება, ჯაფა.
ვეღარ ამოშლი იმ წიგნიდან, რაც წაგიგია-
ამ წუთისოფლის მღელვარებას, სიმკაცრეს, წყრომას,
მისმინე, ზღვაო, ავიც, კარგიც, ჩემი, იგია,
გაუხარელი ცხოვრებისას გაგაცნობ რომანს.
რომანში სტუმრად ბევრი მყავდა მოყვარეც, მტერიც,
მინდა წავშალო ზოგი რამ, თუმც გეცოდინება,
ვერ შევძლებ ამის გაკეთებას, მერწმუნე, მჯერა,
როგორც ზღვიდან ვერ გამოთიშავ მრავალ დინებას.

***

ტალღათ მოსასხამს გამოსხმოდა ფოჩები ქაფის,
საგანგაშოდ და უცნაურად მხრები მოხარეს,
თევზი მიუგდეს, პაწაწინა, სილიან ნაპირს,
სულელი თევზი,
ცნობისმოყვარე.
ალბათ ბევრს ხტოდა, მოიძულა თევზების გუნდმა,
ვეღარ გათვალა - არ შესწევდა ყოჩობის ძალა.
ქაფში იხრჩობა, სულშეხუთულს, ო, როგორ უნდა-
ზღვას დაუბრუნდეს, დასიცხული, წადილს არ მალავს.
მცხუნვარე მზეში ვერცხლისფერი უბზინავს ქერცლი,
შეხედვა მისი სინანულით, ნაღველით მავსებს,
ტყუილუბრალოდ ისხმარტალებს, ვერაფერს შეცვლის,
დასტრიალებენ თოლიები საცოდავს თავზე.
მუმლიც აქვეა, ლაყუჩების ელის დაკეცვას,
არ შეუშინდე, ჩემო თევზო, რაც ხიფათს გისევს,
ზღვაში შეგაგდებ, განწირულო, მინდა დაგიცვა,
ოღონდ დაყვინთე უფრო ღრმად და იცურე ისევ.
ადამიანთა შორის ყოფნა მეც ხშირად მზარავს,
ერთად ვიცუროთ, პაწაწინა თევზო, მე და შენ;
კლდეს ჯიქურ შუბლით შევეხეთქო-
არ მინდა, არა,
ვერ დავასრულე ჯერ სიმღერა მშობელ დედაზე.
მხრებზე მოვიგდებ, ზღვის ქაფისგან, მოსასხამს ჩემსას,
ისევ ნაპირზე გავალ,
რათა მიხილო მაშინ;
არა მსურს ყოფნა ფერიად, ან კუდიან თევზად,
ეს მაქვს ოცნება - ვარსკვლავებთან გავიჭრა ცაში.

***

ვინც რა იღვაწა, ხვედრი ყველას იმას მიაგებს.
თევზუკა ვიყავ გულუბრყვილო,
ამიტომ ვწუხვარ;
იდუმალების ახსნას ვთხოვდი უცხო წიაღებს,
ბრძენს სად ვეძებდი? შეცდომები დავუშვი უხვად.
დედა, შეუნდე ეს სიბრიყვე სულელ ქალიშვილს,
არაფერია აქ ახალი და უჩვეულო,
შთამომავლებთან,
ვიცი, პასუხს ვაგებ ამისთვის,
ბოლოს მოგაგენ, ყველა ბრძენზე უფრო გრძნეულო!
მე იმ კითხვებით,
დედა,
შენთან მომიხდა მოსვლა,
ადრე ვერ გკითხე, ჯავრი შემრჩა ყრმობის ჟამისა,
მარადისობა ნიჟარებში ჰყვაოდა როცა
და იავნანას უმღეროდა ხავერდს ღამისას.

თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა

# ЧЕТЫРЕ ДНЯ НА КАСПИИ
## Метаморфозы о маме и море

**სვეტლანა სავიცკაია**
**ოთხი დღე კასპიაზე.**
**მეტამორფოზები დედასა და ზღვაზე**
**(პოემა)**

**Светлана Васильевна Савицкая**


Литературно-художественное издание
Международный проект
**РОССИЯ - ГРУЗИЯ**
В авторской редакции
Перевод на грузинский **Эмзара Квитаишвили**
Вступительное слово **Льва Аннинского**
Верстка **Алексей Трестьян**
Руководитель проекта **Елена Дорис**
Подписано в печать 18.08. 2018 г.
Формат 60x90/32. Усл.п.л. 8,45.
Тираж 2000 экз. Заказ № К-0234.
Издательский Дом «Глоса»
Грузия. Тбилиси